

როგორი სიღარიბეა დამლევადი საქართველოში?

სამიზნე ჯგუფი.....2

რა სახის სიღარიბეს ეხება არსებული თემა?..... 2

ვინ არიან თემით დაინტერესებული მხარეები? 2

კვლევის მიზანი3

შემოსავლის გადანაწილების ისტორია.....3

საბჭოთა პერიოდი 3

შემოსავლის გადანაწილება დამოუკიდებლობის პერიოდში 4

არსებული ვითარება.....5

გადანაწილების პოლიტიკის შინაარსი 5

ბენეფიციარების კატეგორიებად დაჯგუფება თუ მიზნობრივი შერჩევა..... 5

მოსახლეობის შემოსავლების ოფიციალური შეფასება..... 6

გადანაწილების ალტერნატიული გზა.....8

სკეპტიციზმი 11

დასკვნა 12

სამიზნე ჯგუფი

კვლევა და მის საფუძველზე მომზადებული პრეზენტაცია დაინტერესებულ საზოგადოებას წარედგინა პრაქტიკული მიზნით. საზოგადოების ნაწილს სიღარიბე აწუხებს არა როგორც პირადი ან პრაქტიკული მნიშვნელობის პრობლემა, არამედ როგორც ინტელექტუალური ამოცანა, რომლის გადაწყვეტის შესახებ აუცილებელია პირადი შეხედულების ქონა. ჯგუფის ავტორიტეტიდან გამომდინარე მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საზოგადოებრივ აზრზე.

რა სახის სიღარიბეს ეხება არსებული თემა?

სიღარიბე კომპლექსური და სუბიექტური ფენომენია. სიღარიბის შესწავლა და კვლევა ფართო გაგებით ქცევითი ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა. თუმცა, სიღარიბე მხოლოდ შემეცნებითი მიზნით არ არის საინტერესო. ბევრ, მათ შორის ქართულ, საზოგადოებაში სიღარიბე აღქმულია საზოგადოებრივ პრობლემად და აქედან გამომდინარე აქტუალურ პოლიტიკურ თემებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დაინტერესებული მხარეები სამწუხაროდ ადექვატურად არ არიან მომარაგებული სანდო და რელევანტური ინფორმაციით, ხშირად კამათი სიღარიბის შესახებ მითოლოგიური შეხედულების საფუძველზე მიმდინარეობს, რაც დაინტერესებულ ჯგუფებს შორის დისკუსიას ხელს უშლის ან უშედეგოს ხდის.

ვინ არიან თემით დაინტერესებული მხარეები?

საქართველოში სიღარიბეს სხვადასხვა მიზნით, მეთოდოლოგიით და სხვადასხვა ჯგუფებზე იკვლევენ. მიუხედავად არსებული ემპირიული ინფორმაციისა საზოგადოებისათვის ნათელი არ არის, თუ რისთვის არის საჭირო მთელი ქვეყნის მასშტაბით სიღარიბის შესახებ მონაცემების ცოდნა და რა შინაარსი აქვს ამ მონაცემებს.

მაგალითად, თუ რომელიმე ჯგუფს, ვთქვათ ბავშვებს, შორის სიღარიბეს ვიკვლევთ, გასაგებია რომ კონკრეტული ჯგუფის ინტერესების დამცველი, მაგალითად გაეროს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდი (UNICEF), რომელის მიზანია ხელი შეუწყოს ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის პირობების გაუმჯობესებას მსოფლიოში, ამ ინფორმაციას საკუთარი მისიის შესასრულებლად გამოიყენებს. ბავშვთა სიღარიბის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს როგორც საკუთარი ინიციატივების და აქტივობების ადექვატურად დასაგეგმად, ასევე გარკვეული სამთავრობო პოლიტიკის ლობირებისათვის.

განსხვავებულ პრობლემებს ვხვდებით როდესაც ვცდილობთ მთელი მოსახლეობა მარტივი კრიტერიუმებით შევაფასოთ, მაგალითად ისეთით, როგორიცაა სიღარიბის ზღვრები. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია ინფორმაციის მოხმარებით დაინტერესებული ჯგუფი განსხვავებულია. ამ კრიტერიუმს ძირითადად პოლიტიკური მოტივაციით იყენებენ. თუ ქვეყანაში სიღარიბის დონე მაგალითად 95%-ია ეს მონაცემი არ არის პრაქტიკული დანიშნულების მქონე და არაფრის მთქმელია. მოსახლეობის 95%-ის შემოსავლის გარკვეული ზღვრის დაბლა ცხოვრებას ვერ დაერქმევა სიღარიბე ამ საზოგადოებაში. რადგან ადამიანების უმრავლესობა არ შეიძლება თავს

აღიქვამდეს ღარიბად მხოლოდ მაშინ, როდესაც უშუალო გარემოცვა განსხვავებულ პირობებში ცხოვრობს.

ქვეყანაში მოსახლეობის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის უშუალო მომხმარებელი შესაძლებელია იყოს მთავრობა, როგორც პოლიტიკური დაპირებების გამცემი და მის შესრულებაზე პასუხისმგებელი მხარე. თავის მხრივ, სხვა პოლიტიკური ჯგუფები შესაძლებელია აკონტროლებდნენ მთავრობის მიერ დაპირების შესრულებას ან სთავაზობდნენ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს სიღარიბის შესახებ მიმდინარე პოლიტიკური დისკურსის რეალობისაგან მნიშვნელოვნად დაშორების ფაქტი და დაანახოს რელევანტური ინფორმაციის საჭიროება.

კვლევის მეორე მიზანია მარტივად და ნათლად წარმოსადგენი გახადოს არჩევანი სოციალური პოლიტიკის ორ, ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებულ შეხედულებას შორის. ეს ორი პოზიციაა:

პოლიტიკური ამოცანა #1: სოციალურმა ტრანსფერებმა მოსახლეობის უმეტესობის კმაყოფილება უნდა გამოიწვიოს;

პოლიტიკური ამოცანა #2: სოციალურმა ტრანსფერებმა უნდა უზრუნველყოს უთანაბრობის შემცირება უკიდურესად გაჭირვებული ნაწილის შემოსავლის დაახლოვებით საშუალო ფენასთან ისე, რომ ტრანსფერებმა არ გამოიწვიოს ბენეფიციარების დემოტივირება, რათა ისინი, შრომის უნარის და შესაძლებლობის შემთხვევაში, გახდნენ საკუთარ შრომაზე დამოკიდებული ადამიანები;

შემოსავლის გადანაწილების ისტორია

საბჭოთა პერიოდი

საბჭოთა კავშირის მსგავსად, საქართველოში 90-იან წლებამდე მოქმედებდა სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირისათვის ასეთი სისტემა იყო ბუნებრივი. გადანაწილება იყო საზოგადოებრივი და ეკონომიკური იდეოლოგიის ბუნებრივი გაგრძელება. იმ პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმის პირობებში სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა უზარმაზარი ჯგუფების (მაგ. მოხუცებულების ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა) უკიდურესი სიღარიბეში ცხოვრების თავიდან აცილება.

შრომისუნარიანი საბჭოთა მოქალაქე პრაქტიკულად არ ფლობდა კერძო საკუთრებას, არ შეეძლო დამოუკიდებლად შესულიყო ნებაყოფლობით ეკონომიკურ ურთიერთობაში სხვა სუბიექტებთან. შედეგად, ვერ მოახერხებდა დამოუკიდებლად დაეგროვებინა რაიმე ხელშესახები დანაზოგი, თუნდაც ისეთი წინასწარ ცნობილი შრომისუუნარობის პერიოდისათვის თავის გასართმევად, როგორცაა სიბერე.

ნათელია, რომ ასეთ პირობებში ერთადერთი ბუნებრივი სისტემა, რომელიც საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმისათვის მისაღები იქნებოდა, როგორც იდეოლოგიურად ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, იყო რესურსების ცენტრალიზებულად დაგროვება. შემდგომში ხდებოდა ამ რესურსის შრომისუნარო მოქალაქეების ცხოვრების პირობების გარკვეულ დონეზე შესანარჩუნებლად და კატასტროფული ფინანსური რისკების დასაძლევად გამოყენება.

თუ გავითვალისწინებთ საკუთრების და საბაზრო ეკონომიკის გარეშე ფუნქციონირებადი ქვეყნის მოწყობის პრინციპებს, ბუნებრივად მივიღებთ ამ ტიპის სოციალური სისტემას. ეს ერთიანობაში ძალიან ადეკვატური და მოქმედ პოლიტიკურ რეჟიმთანსრულ შესაბამისობაში აღმოჩნდება.

შემოსავლის გადანაწილება დამოუკიდებლობის პერიოდში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საპენსიო სისტემა უმწვავეს კრიზისში აღმოჩნდა და დეფაქტო მდგომარეობით ასაკის გამო შემოსავლის დაკარგვის რისკის მართვაში რამე სახის ფუნქციის შესრულება აღარ შეეძლო. 1990 წლიდან მაკროეკონომიკურმა კრიზისმა, ჰიპერინფლაციამ და ფისკალური მდგომარეობის უკიდურესმა გაუარესებამ 1993 წლის ბოლოსათვის პენსიების ოდენობა მინიმუმამდე შეამცირა (დაახლოებით 2\$ თვეში). შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ 30\$ თვეში მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში მიჩნეულია უკიდურესი სიღარიბის ზღვარად და პენსიის იმდროინდელი მოცულობა იყო ამ თანხის 6,7%. იმავე პერიოდში გადასახადების გადამხდელების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა პენსიის მიმღებებთან შედარებით და ერთ პენსიონერზე 2,8 გადამხდელიდან 0,7-დე დაეცა. ეს ნიშნავდა სამი მოხუცებულის ფორმალურ სექტორში დაახლოებით ორი დასაქმებულის მიერ რჩენის მცდელობას.

ფაქტობრივად დასრულებული საპენსიო სისტემის იდეის რეანიმირება მოხდა ასაკოვანი ადამიანების პენსიის თითქმის 7-ჯერადი გაზრდით 1994 წლიდან 1998 წლამდე. 14 ლარის უნივერსალური პენსიის შემოღებამ ასაკოვან ადამიანებს შეახსენათ საბჭოთა პერიოდის საპენსიო მოწყობა. ამავე პერიოდს უკავშირდება სახელმწიფოს 30-დე ახალი სხვადასხვა სოციალური ვალდებულებით დატვირთული, კანონის მიღება კონკრეტული ჯგუფების სასარგებლოდ. მიუხედავად საბიუჯეტო რესურსების მწვავე დეფიციტისა, რომელიც საგრძნობი გადანაწილებისათვის შესაძლებლობას არ იძლეოდა, მმართველი პოლიტიკური ძალა შეეცადა კანონმდებლობის საშუალებით სახელმწიფო მოსამსახურეების, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების, სოციალური დაპირებით ლოიალობის მოპოვებას. პრივილეგირებულ ჯგუფები, რომლებიც პენსიის მიმღები ჯგუფის 6%-ს შეადგენდა, იღებდა 7-ჯერ მაღალ საშუალო პენსიას.

2003 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი საპენსიო კანონების პაკეტი, რომელშიც შევიდა “სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ”, “სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ” და “სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ” კანონები.

პროექტის თანახმად ყველა სახის სადაზღვევო პენსია შეიცავდა ორ კომპონენტს: მინიმალურ საბაზისო ნაწილს, რომელიც გარანტირებული და ერთნაირი იქნებოდა ყველასათვის, ვინც აკმაყოფილებდა პენსიაზე გასვლის მოთხოვნებს (ასაკს, სამუშაო სტაჟს, შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხს, გარდაცვლილი ოჯახის წევრის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს) და სადაზღვევო ნაწილს, რომლის სიდიდე დიფერენცირებული და დამოკიდებული იქნებოდა სადაზღვევო სტაჟის ხანგრძლივობაზე და სადაზღვევო შენატანების სიდიდეზე. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მოდელის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო იმ დროისათვის შრომის 33% სოციალური დაზღვევის შენატანით დაბეგვრის და ფორმალურ სექტორში დასაქმებულების პენსიონერებთან შედარებით მცირე წილის ხარჯზე. 33%-იანი სავალდებულო შენატანის უდიდესი ნაწილი (სოციალური შენატანის 28% მოაზრებული იყო საპენსიო შენატანად ხოლო 5% - ჯანმრთელობის ხარჯების ასანაზღაურებლად) განკუთვნილი იყო არსებული შრომითი პენსიების და ახალად შემოღებული ინდივიდუალური სადაზღვევო ნაწილის დასაფინანსებლად. 28%-დან 8% მიმართული იქნებოდა ინდივიდუალურ ანგარიშებზე ხოლო 20% მოხმარდებოდა ყველასათვის თანაბარი ე.წ. ბაზისური პენსიის დაფინანსებას.

არსებული ვითარება

გადანაწილების პოლიტიკის შინაარსი

საზოგადოებაში თითქმის არ მიმდინარეობს დისკუსია სიღარიბის პრობლემის შესახებ. პოლიტიკური ჯგუფების ამა თუ იმ ქმედებას ან დაპირებას მხარს უჭერს საზოგადოების მხოლოდ ის ნაწილი ვინც შესაძლებელია კონკრეტული გადაწყვეტილების შედეგად იხეიროს.

აღსანიშნავია, რომ სოციალური ხარჯების ზრდას საერთოდ მოწინააღმდეგე არ ყავს თუ არ ჩავთვლით მთავრობას, რომელიც საჯაროდ გადანაწილებითი პოლიტიკის მომხრეა, მაგრამ როგორც ბიუჯეტის მობილიზებაზე პასუხისმგებელს ესმის ამ ხარჯების სწრაფი ტემპით ზრდის საშიშროება. საინტერესოა, რომ ქართულ პოლიტიკურ დისკურსში თითქმის არასოდეს აკავშირებენ ერთმანეთთან ე.წ. სოციალური ხარჯებს და ეკონომიკას, რომელისთვისაც პირველი შემაფერხებელი ფაქტორია.

ბენეფიციარების კატეგორიებად დაჯგუფება თუ მიზნობრივად შერჩევა

სახელმწიფოსაგან ბენეფიტის მიმღები ყველაზე დიდი ჯგუფია, პარლამენტის მიერ ვოლუნტარისტულად დადგენილი ასაკის ზღვარს გადაცილებული ადამიანები. საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით უკვე ორი ათწლეულია მოქალაქეებს შეუძლიათ კეთილდღეობაზე ზრუნვა საკუთარი მომავლის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებით დაგეგმვის მეშვეობით. გარდა ამისა ასაკოვანი ადამიანები ცხოვრობენ ოჯახებში სადაც მათი შემოსავალი ხშირად არ არის გადამწყვეტი ოჯახის კეთილდღეობისათვის. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდის მანძილზე გადასახადები არ ყოფილა მიზნობრივი, პირიქით გადასახადის ბუნება ყოველთვის საერთო სახელმწიფოებრივი იყო.

ასევე სახელმწიფოსაგან ბენეფიტის მიმღები სხვა ჯგუფების სიღარიბესთან ასოციაცია არ არის ერთმნიშვნელოვანი. ასე მაგალითად, ინვალიდობის მიღება ათეული წლების მანძილზე შესაძლებელი იყო ყალბი სამედიცინო ცნობის ყიდვის საფუძველზე. გარდა კორუფციისა, მორალური პოზიციიდან არ არის ერთმნიშვნელოვანი საკითხი, თუ რატომ არის საზოგადოება ვალდებული გადაუხადოს ფული ადამიანს, რომელიც საკუთარ ჯანმრთელობას რისკის ქვეშ აყენებდა, ადრეულ ასაკში დაკარგა რომელიმე პროფესიით მუშაობის უნარი, მაგრამ შეუძლია სხვა სახის სამუშაოს შესრულება.

სიღარიბის შესამცირებლად გამოყენებული კატეგორიული მექანიზმის გარდა 2006 წლიდან გამოიყენება მიზნობრივი დახმარებაც. მიდგომის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია მოქალაქეების მიერ საკუთარი თავის დახმარების მიღების საჭიროების მქონედ აღქმა და ამის საფუძველზე დახმარების მოთხოვნა. ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შედეგად დახმარება გაეწევა ოჯახების იმ ნაწილს, რომლებიც შეფასებულებს შორის ყველაზე მეტად გაჭირვებულად შეფასდება იმ ფულადი რესურსის ფარგლებში, რომელიც ამ მიზნით არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში.

საქართველოში, ისევე როგორც ამ სახის სოციალური პოლიტიკის გამტარებელ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მეტი ყურადღება ეთმობოდა სქემის ტექნიკურ მხარეს და ადმინისტრირების პრობლემებს, ხოლო პოლიტიკური მხარდაჭერისათვის საფუძვლის მომზადებას სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება დაეთმო. მიზნობრივად ბენეფიციარების შერჩევა საჭიროებს საკმაოდ რთულ მეთოდოლოგიას, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს სხვადასხვა დემოგრაფიული შემადგენლობის და გეოგრაფიულად განსხვავებულ ადგილებში მცხოვრები ოჯახების კეთილდღეობის ერთმანეთთან შედარება. ბევრად უფრო მარტივია ყველასათვის გასაგები ისეთი კრიტერიუმით ბენეფიციარების შერჩევა, როგორცაა, მაგალითად, ასაკი ან მარჩენალის გარდაცვალება. ასეთი მექანიზმით ბენეფიციარების შერჩევა სქემის ადმინისტრატორისათვის მარტივია, ხოლო საზოგადოებისათვის გასაგები. თუმცა ეს მართებულია იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებას სჯერა, რომ ყველა 61 წლის ადამიანი ღარიბია, ხოლო რომელიმე მშობლის გარდაცვალება ავტომატურად ბავშვის სიღარიბის მიზეზი ხდება.

მოსახლეობის შემოსავლების ოფიციალური შეფასება

მოსახლეობის შემოსავლების ოფიციალური შეფასება კეთდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობების კვარტალური გამოკვლევის საფუძველზე.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ყველაზე ღარიბი შინამეურნეობების 10%-ის შემოსავალი 77 ლარი, ხოლო ყველაზე მდიდარი შინამეურნეობების 10%-ის შემოსავალი დაახლოებით 2000 ლარია.

ამ ციფრების სანდოობაში ეჭვს იწვევს ერთ ადამიანზე გადაანგარიშებით მიღებული ციფრი 21 ლარი, რაც 12\$ და მსოფლიო ბანკის მიერ მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისათვის გამოყენებული დღეში 1\$ კრიტერიუმის ნახევარსაც არ შეადგენს. ამ ეჭვს ამყარებს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის (19 მილიარდი ლარი, 2010 წელი) და შინამეურნეობების ერთობლივი

შემოსავლების 2.4-ჯერ განსხვავება, მაშინ როდესაც მთლიან შიდა პროდუქტში შინამეურნეობების ხარჯების წილი 90%-ს აღემატება.

მარტივი ლოგიკა გვკარნახობს, რომ მოსახლეობის შემოსავლები შინამეურნეობების კვლევისათვის დამახასიათებელი ტექნიკური პრობლემების გამო, შორსაა რეალობისაგან და კრიტიკული ანალიზის ან კვლევის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გარეშე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად გამოუსადეგარია.

ცხრილი #1: შინამეურნეობების შემოსავლები დეცილური ჯგუფების მიხედვით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
არაფულადი შემოსავალი	12	28	43	58	81	98	117	130	130	134
ფულადი შემოსავალი	65	120	164	212	263	334	425	569	816	1,870
შრომით	12	28	58	97	140	204	287	416	646	1,492
კერძო ნებაყოფლობით დახმარება	9	18	27	31	39	47	57	78	102	310
სახელმწიფო გადანაწილება	43	75	80	85	84	83	81	76	69	67
ოჯახის მთლიანი შემოსავალი	77	148	207	270	344	432	542	699	947	2,004
საშუალოდ ერთ ადამიანზე / 3.7	21	40	56	73	93	117	146	189	256	542
მშპ = 7.3; 2.4-ჯერ რეალურზე ნაკლები (მლნ ლარი)	100	191	268	350	445	560	702.8	906.4	1,228	2,599
შემოსავალი დაკორექტირებული მშპ-თან	46	88	123	161	205	257	323	416	564	1,193
მშპ = 16.2; რეალურის 90% (მლნ ლარი)	219	421	591	772	982	1,234	1,548	1,996	2,705	5,726

კიდევ ერთი პარამეტრი, რომლითაც პოლიტიკურ დისკურსის მონაწილეები ზომავენ სიღარიბის მნიშვნელობას არის საარსებო მინიმუმი. საარსებო მინიმუმის დათვლის გამოყენებული მექანიკური მოდელი მნიშვნელოვანი კრიტიკის თემაა, მაგრამ აქ ამ საკითხს არ შევეხებით. საარსებო მინიმუმის ოფიციალური მნიშვნელობა შედარებადია მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებული ქვეყნებისათვის გამოყენებულ მაჩვენებელთან რაც დღეში 2,5\$ შეადგენს, ხოლო

თვეში 135 ლარის ტოლია. მაჩვენებელი უახლოვდება ოფიციალური საარსებო მინიმუმს 145 ლარი თვეში (2010 წლის ნოემბერი).

თუკი მოსახლეობის შემოსავლებს მთლიან შიდა პროდუქტთან შესაბამისობაში მოვიყვანთ, მივიღებთ სრულიად განსხვავებულ სურათს. აღმოჩნდება, რომ ნაცვლად მოსახლეობის 70%-ისა სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს მოსახლეობის დაახლოებით 30%.

გადანაწილების ალტერნატიული გზა

იმის გასარკვევად, თუ როგორ ჯობია საბიუჯეტო რესურსის გამოყენება, ბუნებრივად ჩნდება კითხვა - მოსახლეობის რომელი ჯგუფი უნდა გადაიქცეს ძირითად მოსარგებლედ?

შემდეგი კითხვაა, თუ რა მიზანი უნდა ქონდეს ამ თანხის განაწილებას?


თუ ამ რესურსის დანიშნულებად სიღარიბის შემცირებას მივიჩნევთ, არსებობს მხოლოდ ერთი პასუხი: ამ რესურსის დანიშნულებაა იმ ადამიანების დახმარება, ვინც თავად ვერ მოახერხა საკუთარ კეთილდღეობაზე ადექვატურად ზრუნვა.

ამ შემთხვევაში ერთმანეთს ვადარებთ ქვეყნის მოსახლეობას და არა საქართველოს მოსახლეობას სხვა ქვეყნების მოსახლეობასთან.

ამ დაშვებით საშუალო ფენა არ შეიძლება მივიჩნიოთ ღარიბებად. შესაბამისად, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ხელთ არსებული რესურსის გადანაწილება სიღარიბის შესამცირებლად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ეს ფული მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიან ნაწილთან მოხვდება.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დღევანდელი პოლიტიკა ეფუძნება დაშვებას, რომ ასაკოვანი ადამიანები არიან ბუნებრივად შრომისუუნაროები და ასაკი შესაძლებელია მიჩნეული იყოს როგორც სიღარიბის მკაფიო ინდიკატორად. თუ ამ ადამიანებზე გავანაწილებთ რესურსს, სიღარიბის დონე ქვეყანაში შემცირდება. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეს მხოლოდ გავრცელებული მითია. ყველაზე მცირე რაოდენობით ასაკოვანი ადამიანები ცხოვრობენ უღარიბეს ოჯახებში, მათი პროცენტული წილი ოჯახების კეთილდღეობასთან ერთად იზრდება. პიკს აღწევს მეშვიდე დეცილურ ჯგუფში და შემდგომ კვლავ კლებულობს მაგრამ არა მნიშვნელოვნად.

დიაგრამა #1. ასაკოვანი ადამიანების პროცენტული წილი დეცილურ ჯგუფებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)



აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ასაკოვანი ადამიანებისათვის განკუთვნილმა სახელმწიფო ბენეფიტმა შეიძლება ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას გაჭირვებულ ოჯახებში, მაგრამ კეთილდღეობის ზრდასთან ერთად ასაკოვანი ადამიანების შემოსავლების წილი ყველაზე შეძლებულ 10% ოჯახში მცირდება დაახლოებით 1.8%-დე. მაშინ როდესაც უღარიბეს ნაწილში სახელმწიფო დახმარების წილი 29.5%-ია.

ცხრილი #2: სახელმწიფოს ფულადი ტრანსფერის წილი დეცილურ ჯგუფების შემოსავლებში

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სახელმწიფო გადანაწილების წილი ოჯახის შემოსავალში	29.5%	26.4%	20.0%	16.3%	12.7%	10.1%	7.8%	5.7%	3.8%	1.8%
სახელმწიფო გადანაწილების მოცულობა (მლნ)	64,8	111,3	118,6	126,2	124,9	124,4	120,5	113,2	102,7	100,6

როგორც ცხრილიდან ჩანს სახელმწიფოს მიერ გადანაწილებული თანხის ნახევარზე ნაკლებს იღებს ღარიბი შინამეურნეობები. ჯამური თანხა, რომლის განაწილება ვერ ახდენს გავლენას სიღარიბეზე, შეადგენს 561 მილიონ ლარს, რადგან ამ თანხის მიმღებია საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის ნაწილი.

თუ პოლიტიკის ამოცანა გახდება სიღარიბის შემცირება, მაშინ ზემოთ აღნიშნული თანხის გადანაწილებას უნდა შევეცადოთ მოსახლეობის ღარიბ ნახევარზე, რაც მარტივი არითმეტიკის გამოყენებით სიღარიბეს მკვეთრად შეამცირებს და ფაქტიურად უკიდურესი სიღარიბე (მსოფლიო ბანკის მიერ გამოყენებული ინდიკატორით 1.25\$ დოლარით განისაზღვრება) საქართველოში აღარ იარსებებს. ასევე უზარმაზარი მნიშვნელობა იქნება 2.5\$ –ით დღეში განსაზღვრული მიმართებაში აღებული სიღარიბის დონის შემცირების მაჩვენებელიც.

რადგან მსოფლიო ბანკის თუ შინაური სიღარიბის ზღვრების ერთადერთი დანიშნულება შეიძლება იყოს შემოსავლების ერთმანეთთან შედარება და არანაირი კავშირი მას კონკრეტული საზოგადოების მიერ სიღარიბის აღქმასთან არ აქვს, მხოლოდ საღი აზრის გათვალისწინებით დავუშვათ, რომ შემოსავლების მიხედვით არსებობს მხოლოდ ორი ნაწილი: მდიდარი და ღარიბი. ასეთ შემთხვევაში მდიდრები ეხმარებიან ღარიბებს, დაშვებით რომ ღარიბების შემოსავლებმა არ უნდა გაუსწროს დახმარების გამწვევების შემოსავლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დახმარება უნდა იყოს დიფერენცირებული სხვადასხვა შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის.

ერთ-ერთი შესაძლო სქემა შეიძლება იყოს ქვემოთ წარმოდგენილის მსგავსი:

ცხრილი #3: შესაძლო განაწილების მაგალითი

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
გადანაწილების ვარიანტი	45%	25%	15%	10%	5%	561,648,342				
დამატებით 561 მლნ ლარი	252,7	140,4	84,2	56,1	28,0					
სახელმწიფოსაგან მიღებული შემოსავალი	245	194	156	141	118					
ოჯახის მთლიანი შემოსავალი	364	433	521	639	779	856	1,101	1,452	2,006	4,336
შემოსავალი ერთ სულზე	98	117	141	173	210	231	297	392	542	1,172
სახელმწიფო გადანაწილების შემოსავალში წილი	67%	45%	30%	22%	15%	0%	0%	0%	0%	0%


ამ ანალიზის შედეგად ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკის ცვლილება აუცილებელია, თუ გადანაწილების პოლიტიკის მიზანი სიღარიბის შემცირებაა. თუ ძირითად გადამხდელად მივიჩნევთ საშუალო ფენას, ნათელია, რომ დღეის მდგომარეობით სახელმწიფო პოლიტიკის შინაარსი მდგომარეობს მათვის გადასახადის სახით ფულის გამორთმევაში და შემდგომ მათთვისვე საკუთარი ფულის უკან დაბრუნებაში (ბუნებრივია იმ დანაკარგებით რაც ამ პროცესს თავად და შემდგომ ადმინისტრირებას თან სდევს).

სკეპტიციზმი

ბუნებრივია, ასეთი მოდელის გამოყენების შესაძლებლობა სკეპტიკურ დამოკიდებულებას იწვევს. ასეთი მიდგომით სიღარიბის პრობლემის შემცირების დადებითი მხარეები იმდენად ნათელია, რომ წარმოდგენელია აქამდე მის შესახებ სერიოზული დისკუსია ქვეყანაში არ მიმდინარეობდეს.

საბედნიეროდ, მიდგომა არათუ მსოფლიოში, საქართველოში დაახლოებით 5 წელია გამოიყენება. ამ მოდელის შედეგები სხვადასხვა კვლევებით გაზომილია.

დიაგრამა #2: მიზნობრივი დახმარების მიმღები შინამეურნეობების განაწილება დეცილურ ჯგუფებში (წყარო: PSI - მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის კვლევა (2009 წ.).



გრაფიკზე მოცემულია რესურსის განაწილება სხვადასხვა დეცილურ ჯგუფებს შორის. ბუნებრივია, ასეთი მტკიცებულების არსებობა მნიშვნელოვანი არგუმენტია სიღარიბის წინააღმდეგ მიზნობრივი დახმარების სისტემის გამოყენების სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ სოციალური პოლიტიკაში მიზნობრივი დახმარების კომპონენტის ჩართვამდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან უფრო მეტი წილი ნაწილდებოდა მდიდარ შინამეურნეობებზე. მიზნობრივი დახმარების მცირე კომპონენტის შემოტანის ეფექტი ქვეყნის მასშტაბით გამოიხატა

საბიუჯეტო რესურსის დაახლოებით თანაბარ გადანაწილებაში სხვადასხვა საშემოსავლო ჯგუფებს შორის. ეს იმის დამადასტურებელია, რომ, ერთიანობაში სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის შედეგად წარსულში შეძლებული ნაწილი მეტად ხეირობდა და ახლა კი მდიდრებიც და ღარიბებიც თანაბრად ფინანსდებიან.

სამწუხაროდ, ძნელია მოუძებნო გამართლება პოლიტიკას, რომლის შედეგები სიღარიბეზე არ აისახება. ამიტომ ამ ეტაპზე სასარგებლოა თუ კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციები მეტ ყურადღებას დაუთმობენ საზოგადოების მეტ ინფორმირებას აღნიშნული საკითხის გარშემო.

დასკვნა

დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც პოლიტიკური ჯგუფის წარმატება დაკავშირებულია საარჩევნო ყუთთან მისული კმაყოფილი ან უშრომლად შემოსავლის მიმღები ჯგუფის მოლოდინზე, შეუძლებელია რომელიმე მთავრობამ ან პოლიტიკურმა ჯგუფმა არ ჩათვალოს მნიშვნელოვნად საკუთარი მორალური და პოლიტიკური პოზიციის დასაბუთება.

ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ამ ტიპის პოლიტიკის წარმოება იქნება შესაძლებელი, დამოკიდებულია საზოგადოების ინფორმირების ხარისხზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური აქტორებისათვის წარმატების მისაღწევად ერთადერთი გზა ამომრჩევლის პირდაპირი მოსყიდვის მცდელობა დარჩება.

ვახტანგ მეგრელიშვილი

დეკემბერი 2010